პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 154 (6209)

1978 წ. 8 [illegible] სამშაბათი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ოპტიმიზმის, მეგობრობისა და სოლიდარობის ატმოსფეროში

რევოლუციის მოედანი ჰავანის ცენტრალური მოედანია. ეს ადგილი განსაკუთრებით ახლობელი და ძვირფასია თითოეული კუბელისათვის. აქ სახალხოდ, ერთსულოვნად იქნა მიღებული კუბის კომუნისტური პარტიის I ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები.

5 აგვისტოს ამ მოედანზე თავი მოიყარა 10 ათასობით ჰაბუკმა და ქალიშვილმა — ხუთი კონტინენტის წარგზავნილებმა, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალის სტუმრებმა.

დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ფიდელ კასტროს გამოსვლას.

ჩვენი ქვეყნისთვის, — თქვა მან, — ფესტივალი დიდი დღესასწაული იყო. იგი მიმდინარეობდა ოპტიმიზმის, მეგობრობისა და სოლიდარობის ატმოსფეროში. ეს იყო მსოფლიოს ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენელთა შეხვედრა. ფესტივალის დღეებში განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა ახალგაზრდობის მისწრაფება სოლიდარობის განმტკიცებისა და მშვიდობის დაცვისათვის. სოლიდარობა — ეს კაცობრიობის პროგრესისთვის წარმატებითი ბრძოლის აუცილებელი პირობაა.

ფიდელ კასტრომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კუბელი ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალის იდეებსა და გადაწყვეტილებებს, აზიის, აფრიკის, ამერიკისა და ევროპის ხალხთა სამართლიან ბრძოლას.

XI მსოფლიო ფესტივალი დასრულდა. ახალგაზრდობის ფორუმების ჩატარების ისტორიაში პირველად ამ ფესტივალის მასპინძელი იყო ლათინური ამერიკის პირველი სოციალისტური რესპუბლიკა — კუბა. დელეგატებმა და სტუმრებმა თვალნათლივ ნახეს თუ როგორ წარმატებას მიაღწია ქვეყანამ სახალხო ხელისუფლების წლებში.



## ევროპული ტურნირის თბილისური ფინალი



### ჩოგბურთი

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, ევროპის პირველობაზე თბილისელ ა. მეტრეველის მეოთხედფინალური შეხვედრა რუმინელ ლ. ხერეღაუსთან შეწყვეტილი იყო სიბნელის გამო. შეხვედრის განახლებისას მეტრეველმა მოიგო ჯერ მეორე პარტია (7:5), შემდეგ, იმავე ანგარიშით, მესამე პარტიაც და გაიმარჯვა — 5:7, 7:5, 7:5. მეტრეველი ნახევარფინალში მოსკოველ ვ. ბორისოვს შეხვდა. მეტრეველმა კვლავ გაიმარჯვა და ფინალში გავიდა. მეორე ფინალისტი უნდა დაესახელებია თ. კაკულია — რ. აზმეროვის შეხვედრას. გაიმარჯვა კაკულიამ — 6:4, 7:6, 7:5.

ისევე, როგორც ევროპის წინა ჩემპიონატში, ამჯერადაც, რუმინეთის ქალაქ ბრაშოვის კორტზე ფინალში ერთმანეთს შეხვდა ორი თბილისელი — მეტრეველი და კაკულია. შეხვედრა ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა და მაყურებელთა საერთო აღტაცება გამოიწვია. 33 წლის მეტრეველმა მთელი შეხვედრა ოსტატურად წარმართა და ოთხ პარტიაში დაამარცხა მეტოქე — 6:3, 2:6, 6:2, 7:6.

**ამრიგად, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ა. მეტრეველი მეექვსედ გახდა ევროპის ჩემპიონი, კაკულია ვერცხლის მედალს დასჯერდა.**

პარალელურად ბრაშოვში მიმდინარეობდა კონტინენტის ჩემპიონატი ახალგაზრდათა შორის. აქ თავი ისახელა ლვოველმა ს. გრუზმანმა. მან გადამწყვეტ შეხვედრაში მოუგო ავსტრიელ რ. რეინინგერს — 6:3, 6:4.

ჩეხოსლოვაკიის ქალაქ პშეროვში მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი გოგონათა შორის. აქაც წარმატებით გამოდიან საბჭოთა ჩოგბურთელები: მოსკოველი ი. სალნიკოვა (ცნობილი ფეხბურთელის ს. სალნიკოვის ქალიშვილი) 14 წლამდე გოგონებს შორის გათამაშების ფინალში გავიდა. ასევე ფინალში გავიდა მოსკოველი ს. ჩერნევა (16 წლამდე) და კიეველი ნ. ბონდარენკო (18 წლამდე).

• • •

სურათებზე: ა. მეტრეველი (მარცხნივ) და თ. კაკულია.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

## საბჭოთა მშვილდოსანთა წარმატება

### ქეთევან ლოსაბერიძის ოქროს მედალი

ინგლისის ქალაქ კოვენტრის მახლობლად დამთავრდა ევროპის მეექვსე ჩემპიონატი მშვილდოსნობაში. საბჭოთა ნაკრებმა შეჯიბრებაში რვიდან შვიდი ოქროს მედალი და ორი ვერცხლის ჯილდო მიიღო.

ქალთა შორის პირად პირველობაზე აბსოლუტური ჩემპიონის სახელი მოიპოვა მონრეალის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა, 28 წლის ლვოველმა ვ. კოვპანმა, რომელმაც 1279 ქულა მოაგროვა. მანვე მოიგო 4 მცირე ოქროს მედალი ცალკეულ დისტანციებზე, ამასთან კოვპანი სამ დისტანციაზე პირველი იყო ევროპის რეკორდებით.

ვერცხლის მედალი ერგო ირკუტსკელ ლ. შიკოტას — 1245 ქულა, ბრინჯაოსი — პოლონელ მსოფლიო რეკორდსმენს ი. ვილეიტოს — 1231.

საბჭოთა სპორტსმენებმა იმარჯვეს გუნდურ ჩათვლაშიც. ტრიომ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ კოვპანი, შიკოტა და თბილისელი ქ. ლოსაბერიძე, მოაგროვა 3751 ქულა. ეს ევროპის რეკორდია. გუნდურ ჩათვლაში II ადგილი ერგოთ პოლონელებს — 3626, მესამე — ფინელებს — 3538.

ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში ოქროს მედლები პირველად მოიპოვა საბჭოთა ვაჟთა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ვ. მაქსიმოვი (ბაქო), ა. ბულოვი და ვ. ჩინდაროვი (ორივე — მოსკოვი), 3743 ქულა მოაგროვა. ესეც, ევროპის რეკორდია. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ფინეთისა (3713) და დიდი ბრიტანეთის (3691) კოლექტივები.

## ექვსი საფეხურით მაღლა!

### დამთავრდა პროფტექსასწავლებლების მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადა

ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდა სპორტსმენთა მრავალი შეჯიბრება ეწყობა. ერთ-ერთი მათგანია პროფტექსასწავლებლების მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა, რომელიც ეტაპებად ტარდება. ამ კომპლექსურ ღონისძიებაში მონაწილეობენ სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" წევრები.

წლევანდელი XV საკავშირო სპარტაკიადის ფინალურ ასპარეზობას წინ უძღოდა სასწავლო დაწესებულებათა ფიზკულტურის კოლექტივების შეჯიბრება, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკური სპარტაკიადები. სწორედ წინასწარი ასპარეზობის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა ჩვენი ქვეყნის მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები, რომლებმაც ფინალურ ასპარეზობაში მიიღეს მონაწილეობა.

სპარტაკიადის პროგრამამ სპორტის 19 სახეობა მოიცვა, მათგან 9 სახეობაში შეჯიბრებები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში ჩატარდა, დანარჩენი 10 სახეობის წარმომადგენლებმა კი კაუნასში მოიყარეს თავი.

თავიდანვე ვიტყვით, რომ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები მსგავს სპარტაკიადებში ადრე წარუმატებლად ასპარეზობდნენ. მაგალითად, XIV სპარტაკიადის გუნდურ ჩათვლაში მე-13 ადგილზე გავიდნენ, წლეულს კი ექვსი საფეხურით წაიწიეს წინ და მე-7 ადგილი დაიკავეს. ეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელობის ყურადღებაზე, „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს მუშაკების, ამ სპორტსაზოგადოების მწვრთნელებისა და სპეციალისტების, პროფტექნიკური სასწავლებლების ფიზკულტურის მასწავლებლების ნაყოფიერ მუშაობაზე მეტყველებს. ნაკრები გუნდების მზადებისას მათ მხარში ედგნენ რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის, აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის სპორტკომიტეტების პასუხისმგებელი მუშაკები.

პროფტექნიკური სასწავლებლების XV საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის ხუთმა წარმომადგენელმა მოიპოვა ჩემპიონის წოდება. ესენი არიან: **ლ. ფაჩუაშვილი** (ჰადრაკი), **გ. თოთლიძე** და **ა. ხაჩატურიანი** (სპორტული ტანვარჯიში), **ვ. მერაბიშვილი** (კლასიკური ჭიდაობა) და **ი. გაიბალიევი** (კრივი). გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს „შრომითი რეზერვების" მოჭადრაკე გოგონათა ნაკრებმა, მეორე საპრიზო ადგილზე გავიდნენ კლასიკური სტილის მოჭიდავეები, ხოლო მესამეზე — ფეხბურთელები და ტანმოვარჯიშე ჭაბუკები.

რა შეიძლება ითქვას სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენელთა გამოსვლის შესახებ?

თავისუფალი სტილის მოჭიდავეები დონეცკში ასპარეზობდნენ. ქართველი ფალავნები მოლდავეთის, რსფსრ-სა და უკრაინის კოლექტივების შემდეგ IV ადგილზე გავიდნენ. პირად ჩათვლაში ვერცხლის მედლები მოიპოვეს **მ. ბერიაშვილმა** (45 კგ), **დ. ზაალიშვილმა** (70), **ი. მაჭარაშვილმა** (75) და **პ. პაპიაშვილმა** (97 კგ-ს ზევით), ბრინჯაოს მედალი ერგო **გ. გოგრიჭიანს** (56).

ველოსიპედისტთა (ტრეკი) ფინალური შეჯიბრება ლენინგრადში გაიმართა. ჩვენმა სპორტსმენებმა გუნდური VII ადგილი დაიკავეს. პირად ასპარეზობაში ჩემპიონი გახდა საქართველოს წარმომადგენელი **ი. ზიმენკოვი**, რომელმაც ჯგუფური რბოლა მოიგო.

საქართველოში მძლეოსნობის განვითარების დონე რომ დაბალია, ეს ახალი ამბავი არაა. ამ მხრივ „შრომითი რეზერვების" სისტემაშიც რომ ბევრი არაფერი კეთდება, პროფტექსასწავლებლების სპარტაკიადამაც დაადასტურა. კაუნასში ჩვენმა მძლეოსნებმა ვერაფრით გამოიჩინეს თავი. ჭაბუკებმა X ადგილი დაიკავეს, გოგონებმა კი — XI. ცუდი შედეგები ჰქონდათ, აგრეთვე, ნიჩბოსნებს (XIII ადგილი), მაგიდის ჩოგბურთელ ვაჟებს (XIII) და სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებს. მშვილდოსანთა შეჯიბრებაში კი ქართველი სპორტსმენები საერთოდ არ მონაწილეობდნენ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. ეს სასიხარულო წინსვლა რომ არ შენელდეს, საჭიროა აქედანვე ვემზადოთ მომავალი სტარტებისთვის. დევიზი „სპარტაკიადა დამთავრდა — სპარტაკიადა გრძელდება" ამჯერადაც ძალაში უნდა დარჩეს.

**გ. ჯანელიძე,**
**საქართველოს სპორტკომიტეტის სკოლებისა და უმაღლეს სასწავლებლების განყოფილების გამგე.**

## საქართველოს სპორტკომიტეტში

**საქართველოს** სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა საპატიო სიგელებით დააჯილდოვა ჩოგბურთელები — სპორტის დამსახურებული ოსტატები **ა. მეტრეველი** და **თ. კაკულია**, რომლებმაც რუმინეთის ქალაქ ბრაშოვში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე შესაბამისად პირველი და მეორე ადგილები მოიპოვეს.

**საქართველოს** სპორტკომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი **ქ. ლოსაბერიძე** — სსრ კავშირის მშვილდოსანთა ნაკრები გუნდის წევრი, რომელმაც ინგლისის ქალაქ კოვენტრში მოიპოვა ევროპის ჩემპიონის სახელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ზაფხული-78"





# ნანატრი სიგრილე კი სულ ორ ნაბიჯზეა...







**აგვისტოს** მზის სამოსელში გახვეულ თბილისს ბოლო ხანს და ცხოვრობს დიდქალაქი თავისი „მხურვალე" ცხოვრებით, ხმაურიანი ქუჩებითა და ეზოებით. კვლავ ჯიუტად დააბიჯებენ რუსთაველის გამზირზე დიდები და პატარები, ქალები და კაცები. დასიცხულები, მოთენთილები, ოფლით გაჟღენთილები...

დღეს კვირაა — დასვენების დღე. ჰა, თბილისელო, გაიხარე, გაერიდე გადახურებულ ქუჩებს, აიკარი გუდა-ნაბადი და გადი ქალაქგარეთ, თავი შეაფარე ნანატრ სიგრილეს. აგერ წყნეთი, კოჯორი, დიდგორისკენ მიმავალი ბილიკი. თბილისის ზღვა, ლისისა და კუს ტბებიც ხომ ორიოდ ნაბიჯზეა... რაღა გიდგას წინ, რად ტკეპნი გავარვარებულ ტროტუარებს?

ხდება ხოლმე — ჩვენ, ადამიანები ხშირად გაუცნობიერებელ, უაზრო ახირებებს ვწირავთ საკუთარ ნერვებსა და ჯანმრთელობას, რად ვაგდებთ ცხოვრების წესსა და რეჟიმს. სამწუხაროდ, ამ კაპრიზებს „რკინის ლოგიკა" უმაგრებს ზურგს: ფიზკულტურა და სპორტი, ზურგჩანთით ტყე-ღრე

## როგორ ვატარებთ დასვენების დღეს?

ხეტიალი განა სერიოზული კაცის საქმეა? თუ სპორტულ კოსტიუმში გამოწყობილმა ახაკოვანმა კაცმა (თუნდაც ახალგაზრდამ) პარკის მოკირწყლულ ხეივანში გაირბინა, ის უთუოდ „ზნედაცემულია"; თუ მაგანმა და მაგანმა სხვადასხვა მიზეზების გამო შავი ზღვის სანაპიროზე ან მაღალმთიან კურორტზე ვერ დაისვენა და უქმე დღეები ოჯახთან ერთად ლისის ან კუს ტბაზე გაატარა, ესეც თავმოყვარეობის „უქონლობაზე" მიუთითებს(?!) ალბათ ამ „ლოგიკას" გამოა, რომ ქალაქგარეთ გასვლას ისევ პროსპექტებზე სიარულს ვარჩევთ. რა თქმა უნდა, ზემოთქმული ყველას ერთნაირად არ ეხება — შაბათ-კვირას ათასობით თბილისელი სტუმრობს ზღვას, ლისისა და კუს ტბებს, ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკებს — მოდიან ინდივიდუალურად, ჯგუფურად, ოჯახთან ერთად, ისვენებენ, ერთობიან. საქმე ისაა, რომ ამ ადამიანთა რიცხვი ერთობ მცირეა და პრობლემის სიმწვავე სწორედ ამ სიბრტყეში დევს. პირდაპირ უნდა ითქვას: ბევრ ჩვენგანს ვერ შეუძენია დასვენების, თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენების კულტურა, უბრალოდ, ვერ შეუთვისებია შრომა-დასვენების რიგიანი წესი, ან კიდევ ის „რკინის ლოგიკა" ბოჭავს, ზოგიერთების შეგნებაში მკვიდრი სამირკველი რომ უპოვნია.

დღეს ჩვენ ხმამაღლა ვლაპარაკობთ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით გამოწვეულ უმოძრაობაზე და მის სავალალო შედეგებზე, მაგრამ თუ დღევანდელი ეპოქის ამ უარყოფით მხარეს კიდევ ჩვენივე უნიათობა, ინერტულობა და გულგრილობა დაემატება, ვერაფერი კარგი ამბავი მოყვება ამას.

აქ საჭირო და აუცილებელია პრობლემის მეორე მხარესაც შევხედოთ. რა მდგომარეობაა თბილისის ზემოჩამოთვლილ დასვენების კერებზე, როგორია მოწყობილი პლიაჟები, სპორტული მოედნები, დასვენების ზონები? როგორ ემსახურებიან აქ მოსულ დამსვენებლებს?

უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს ბევრი სასარგებლო და კარგი საქმე გაკეთდა თბილისის ზღვაზეც, ლისისა და კუს ტბებზეც, კულტურისა და დასვენების პარკებშიც, მაგრამ მოუგვარებელი და გასაკეთებელი რომ უფრო მეტია, ესეც ცხადია.

თუ ოჯახში მოსულ სტუმარს ყურადღება არ მიაქციე, თუ გულის სითბო არ აგრძნობინე და გულგრილად მოეპყარი, ბუნებრივია, იგი მეორედ არ გამოიხედავს შენსკენ. თბილისის ზღვაზე მოსული ადამიანი ხშირად მსგავს სიტუაციაში ხვდება ხოლმე. აქ ყველაფერი როდია ისე მოწყობილი, სტუმრის თვალსა და გულს რომ გაახარებს. საკმაო რაოდენობით არა აქვთ საჭირო ინვენტარი, უკეთესის სურვილს ტოვებს პლაჟი, არც პროდუქტებით მომარაგების მხრივაა ყველაფერი რიგზე, ასე, რომ თბილისის ზღვის მესვეურებს ჯერ კიდევ ბევრი შრომა და გარჯა მართებთ.

ამ დღეებში შედარებით ბევრი სტუმარი ლისის ტბას ჰყავს. და ეს შემთხვევითი როდია. დამსვენებლებს მარტო აქაური ბუნება და მოლივლივე წყალი როდი იზიდავს. აქაურობას თვალნათლივ ატყვია პარკის დირექციის მზრუნველი ხელი. ახლახან საბაგირო გზაც გაიხსნა და პარტიზანთა პარკსაც მეტი დამსვენებელი მიეძალა...

ამ დღეებში თბილისის სპორტკომიტეტში გაიმართა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის ბიუროს, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის, დოსაათის საქალაქო კომიტეტის, საქალაქო საბჭოს საბინაო სამმართველოს, განათლებისა და კულტურის განყოფილებათა წარმომადგენლების გაერთიანებული სხდომა, სადაც სხვა საკითხებთან ერთად იმსჯელეს ქალაქის კულტურისა და დასვენების კერებში მასობრივ-გამაჯანსაღებელ და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შესახებ. სხდომაზე სერიოზული საუბარი გაიმართა დამსვენებელთა მომსახურებაში არსებულ ნაკლოვანებებზე. მათი გამოსწორებისათვის ზრუნვა კულტურისა და დასვენების პარკების დირექციების უპირველესი ამოცანა უნდა გახდეს.

ე. ბერიშვილი.

●

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ამ ბიჭუნებმა უკვე იჭყუმპალავეს ტბაში, ახლა კი მზეს ეფიცხებიან; ნავით სეირნობის მოყვარულები; ლისის ტბის საბაგირო გზის ზედა სადგური; ცინცხალი მზე, ჰაერი და... საქანელა; ნავებით კუს ტბაზე.**

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

41 სსრკ ჩემპიონატი

[გ]უშინწინ შედგა სსრ კავშირის [ფე]ხბურთო ჩემპიონატის ორი მატჩი.

მოსკოვში ადგილობრივმა „ტორპედომ" მიიღო ერევნის „არარატი" და დაამარცხა — 1:0.

ლენინგრადში ადგილობრივმა „ზენიტმა" უმასპინძლა ბაქოს „ნეფთჩის". აქაც მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0.

ფეხბურთი

# დუბლიორთა რვა გოლი

[გ]უშინწინ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა თბილისის „დინამოსა" და ალმა-ათის „ქაირათის" [სა]თადარიგო შემადგენლობათა მატჩი.

[მა]სპინძლებმა დიდი მონდომებით [ჩა]ატარეს მთელი ასპარეზობა, რაც [ანგ]არიშშიც გამოიხატა. 6:2 — ეს [ციფ]რები ეწერა ელექტროტაბლოზე მატჩის ფინალური სასტვენისას.

[ან]გარიში შეხვედრის მე-15 წუთზე გახსნა ბაზაზაშვილმა, მაგრამ [მალ]ე ქაირათელებმა უსოლცევმა [და] ბაკუშევმა (მორიგან ჩინებული დარტყმით) ორი საპასუხო გოლი გაიტანეს — 1:2. ამის შემდეგ დინამოელებმა კიდევ ხუთჯერ აიღეს სტუმართა კარი. თითო ბურთი გაიტანეს კოპალეიშვილმა და ჰილაიამ (11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით); ხოლო მუმლაძემ სამი ბურთი მოათავსა ალმაათელთა ბადეში.

დინამოელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: **გაბელია, ხიზანიშვილი, დურდიაძე, ჯოხაძე, მუჯირი, თავაძე, გოგოლაძე, კოპალეიშვილი (ახობაძე), ჰილაია, ბაზაზაშვილი (ბოლქვაძე), მუმლაძე.**

## პირველი ლიგა

**[6] აგვისტოს** შედგა I ლიგის საკავშირო პირველობის 24-ე ტურის მატჩები.

[ქ]უთაისის „ტორპედო" ამ ტურში თავისუფალი იყო. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „კუზბასი" (კემეროვო) — „ქალგირისი" (ვილნიუსი) 1:0, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „დინამო" (მინსკი) 0:0, „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 3:1, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „დინამო" (ლენინგრადი) 3:2, „თერგი" (გროზნო) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) 1:0, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — ასკ (ოდესა) 2:0, „პამირი" (დუშანბე) — „კარპატი" (ლვოვი) 2:2, „კოლხოზჩი" (აშხაბადი) — „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) 1:0, ასკ (როსტოვი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 2:0.

## მეორე ლიგა

**[კ]ვირას** გაიმართა მეორე ლიგის [ზ]ონის საკავშირო პირველობის [...] ტურის მატჩები. ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

### „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „კიფი (ერევანი) 4:1

[...]ნიგზელის საკავშირო დღეს [სამ]ტრედიელმა ფეხბურთელებმა [...] ალმავლობით ითამაშეს და [დამსა]ხურებული გამარჯვება იზეიმეს [...] ეს გუნდის თითოეული წევრის [...] თავდაუზოგავი თამაშის შედეგია.

[მა]ტჩი მასპინძელთა შეტევით [დაიწ]ყო და ერევნელთა მეკარე [...]ვოსიანი პირველივე წუთებზე [...]თო თამაშში: მან ჩახუნაშვილის, [...]ახტაძისა და დვალიშვილის [...]უმები ძლივს მოიგერია. მე-12 [წუთზე] ჩახუნაშვილი გაექცა [...]ებს და ძლიერად დაარტყა [— 1:]0. 8 წუთის შემდეგ სტუმრების ერთ-ერთი შეტევა ავეტისიანის გოლით დააგვირგვინა. ეს [...] და ეს, რაც ერევნელებმა [...]ეს. ისინი ყრუ დაცვაზე გა[და]ვიდნენ და დროის გაყვანის ტა[ქტიკა]ს მიმართეს. 39-ე წუთზე [ჩახუ]ნაშვილის ზუსტი მოწოდებით დვალიშვილმა თავური დარტყმით ანგარიში ორამდე გაზარდა. [...]ების შემდეგ ერევნელთა [...] გამოუდმებული იერიშის ქვეშ [...] და მე-60 წუთზე კოხრეიძემ, ხოლო 87-ე წუთზე ანდღულაძემ (11-მეტრიანი დარტყმით) ორჯერ აიღეს სტუმართა [კარი].

**ა. ხირაძე.**

### „დინამო" (ზუგდიდი) — „კოტაიკი" (აბოვიანი) 2:0

ზუგდიდელებს ამ თამაშამდე 6 გასვლითი მატჩი ჰქონდათ, აქედან სამი მოიგეს და ამდენივე წააგეს. ბუნებრივია, რომ შინ „კოტაიკის" წინააღმდეგ რევანშის სურვილით იბრძოდნენ, ვინაიდან პირველ წრეში ამ კოლექტივთან დიდი ანგარიშით წააგეს — 0:3.

თამაში ზუგდიდელთა შეტევებით დაიწყო და უკვე მე-10 წუთზე კვარაცხელიას მოწოდებიდან დარჯანიამ თავური დარტყმით გახსნა ანგარიში. 30-ე წუთზე კვარაცხელიამ მეორე ბურთი გაიტანა. ტაიმის ბოლომდე ზუგდიდელთა უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა.

**ბ. ალშიბაია.**

### „დილა" (გორი) — „შირაკი" (ლენინაკანი) 1:0

გორელები საგულდაგულოდ მოემზადნენ ძლიერ მეტოქესთან საასპარეზოდ. თამაშის დაწყებიდანვე ისინი შეტევაზე გადავიდნენ და მეკარე დემირჭიანს ბევრი სახიფათო მომენტის უვნებელყოფა მოუხდა, მაგრამ მისი ოსტატობა უნაყოფო გამოდგა, როცა ბუზალაძემ მე-14 წუთზე ლენინაკანელთა კართან გაიყვანა ქერდიკაშვილი და ამ უკანასკნელმა ძნელი მდგომარეობიდან გაიტანა ბურთი. გორელებმა უმატეს თამაშის ტემპს. კარგად მოქმედებდა მასპინძელთა დაცვა და ნახევარდაცვა. ბუზალაძეს და ომიაძეს კიდევ ჰქონდათ გოლის გატანის ნაღდი შესაძლებლობანი.

**ი. თევდორაშვილი.**

სხვა მატჩები

[...] დამთავრდა: „დინამო" (ბათუ[მი]) — „ხაზარი" (ლენქორანი) 1:0, [„...]ა" (ლანჩხუთი) — „ყარაბაღი" (სტეფანაკერტი) 1:0, „დინამო" [...]) — „არაზი" (ნახიჩევანი) [...], „ზენიტი" (იჟევსკი) — „გას[...]" (უფა) 0:0, „ზვეზდა" (პერმი) — „ტურბინა" (ნაბერეჟნიე ჩელნი) 1:0, „ურალეცი" (ნიჟნი ტაგილი) — „გაზოვიკი" (ორენბურგი) 2:0, „დინამო" (კიროვი) — „ტორპედო" (ტოლიატი) 1:0, „დრუჟბა" (იოშკარ-ოლა) — „პროგრესი" (კიროვაბადი) 1:0, „რუბინი" (ყაზანი) — „ავტომობილისტი" (ბაქო) 1:1.

# მესამე ეტაპის წინ

იახტსპორტი



**ამ დღეებში** თბილისის ზღვაზე გაიმართა ახალგაზრდა აფროსანთა რესპუბლიკური შეჯიბრება „ბროლის თასზე". ასპარეზობაში თბილისის, აფხაზეთის, აჭარისა და ფოთის 16 ნორჩი სპორტსმენი მონაწილეობდა. „კადეტის" კლასში საუკეთესო იყო სოხუმელი ა. სობოლი. „ფინის" კლასით შეჯიბრება ბათუმელმა ა. რამიშვილმა მოიგო, ხოლო „ოპტიმისტებით" ასპარეზობაში ასევე ბათუმელმა ს. ზავადსკიმ გაიმარჯვა.

— ეს შეჯიბრება „ბროლის თასის" გათამაშების მეორე ეტაპია, — გვითხრა ასპარეზობის მთავარმა მსაჯმა, თბილისის სპორტკომიტეტის იახტ-კლუბის დირექტორმა ვ. ქიტუაშვილმა, — მესამე — გადამწყვეტი ეტაპი ტაგანროგში გაიმართება. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას სწორედ თბილისის ზღვაზე გამართულ შეჯიბრებაში გამარჯვებულები დაიცავენ. სამწუხაროდ, საქართველოში სპორტის ეს მიმზიდველი სახეობა ჯერ კიდევ არაა მასობრივად დანერგილი, ამიტომაც ჩვენი აფროსნები საკავშირო სარბიელზე მაღალი შედეგით არ გამოირჩევიან. ისიც სათქმელია, რომ მწვავედ განვიცდით აუცილებელი ინვენტარ-აღჭურვილობის ნაკლებობას. თუ ეს საკითხი დადებითად გადაიჭრება, ჩვენი აფროსნებიც უფრო ხმამაღლა იტყვიან თავიანთ სათქმელს.

* * *

**სურათზე:** შეჯიბრების მომენტი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

# აზრი ორია...

## სარედაქციო ფოსტის მიმოხილვა

**თუ კაცი** კაცად არვარგა, ცუდია გვარიშვილობაო. ქკვიანი კაცის ნათქვამია. სახელი საგანსაც ვერ უცვლის დანიშნულებას, მით უმეტეს ცოცხალ არსებას. კაცი ის არის, რაც არის. ლამაზი იქნება სახელი თუ უშნო, მის ღირსებას ვერ დააკლებს რამეს, ვერც იოტისოდენას შემატებს.

მაგრამ სახელიც არის და სახელიც. არც თუ შორეულ წარსულში ზოგი მეტისმეტად მოწადინებული მშობელი ბავშვს (სულ ერთია, გოგო იქნებოდა თუ ბიჭი) ტრაქტორს, იაპონიას, ან სულაც რევოლუციას არქმევდა. თქმა არ უნდა, ამგვარი ხელოვნური სახელების ავკარგიანობაზე ლაპარაკი ზედმეტია. საკმარისია მკითხველმა წარმოიდგინოს იმ, ბებიად ან პაპად ქცეულ ბავშვს როგორ დაუძახებენ შვილიშვილები, თუნდაც რევოლუციას. მაგალითისათვის შორს არ წავალ, სულ ახლახან გავიცანი კაცი, „მასკვა" რომ ერქვა.

ეს, რაც შეეხება ერთ, ცალკეულ პიროვნებას. მაგრამ, როცა საუბარია ქალაქის, რაიონის ანდა რესპუბლიკის ღირსების დამცველ ადამიანთა ჯგუფზე — სულ ერთია თეატრალური დასი იქნება, მომღერალთა თუ მოცეკვავეთა ანსამბლი, სპორტული კოლექტივი — სახელწოდების მნიშვნელობა ბევრად იზრდება. აქ მეტი სიფრთხილეა საჭირო, მეტი დაკვირვება, ზომიერება, რადგან ამ შემთხვევაში სახელი ათასების, ათიათასების დამოკიდებულებას გამოხატავს ამ კოლექტივის მიმართ, მოღვაწეობის იმ სფეროს მიმართაც, რაც ამ კოლექტივს თავის საქმიანობად გაუხდია. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ადამიანთა ამ ჯგუფს, როგორც ერის სრულუფლებიან წარმომადგენელს. ქვეყნიდან ქვეყანაში, დედამიწის თითქმის ყოველ კუთხეში დააქვს ეს სახელი და კარგია ის თუ ცუდი, სულერთი არ უნდა იყოს რესპუბლიკის თითოეული მოქალაქისათვის.

ყველაფერ ამის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, გულგრილნი ვერ დავრჩებით იმ პრობლემის მიმართ, ჯერ რამდენიმე წლის წინათ და ახლაც ისევ რომ იჩინა თავი „ლელოს" ფურცლებზე დასტამბულ მკითხველთა წერილებში, გულგრილნი ვერ დავრჩებით იმ გუნდის სახელწოდების მიმართ, ქართული ფეხბურთის ღირსებას რომ იცავს შინაც და გარეთაც.

საუბარია თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის სახელწოდებაზე, საუბარია რესპუბლიკის სპორტული კოლექტივების სახელწოდებაზე.

რედაქციაში უამრავი წერილი მოდის. გვწერენ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები.

„ჩვენს ქვეყანაშიც და საზღვარგარეთაც თბილისის ფეხბურთელთა გუნდს „დინამოს" სახელით იცნობენ, ჩვენც, ფეხბურთის ჭეშმარიტი მოყვარულნიც თითქმის ნახევარი საუკუნეა ამ სახელს წარმოვთქვამთ. საქართველოს უპირველესი გუნდი ჩვენი ქვეყნისა თუ საზღვარგარეთის სტადიონებზე „დინამოს" სახელით გამოჰყავდათ შ. შავგულიძეს, ბ. პაიჭაძეს, ა. დოლობერიძეს, შ. იამანიძეს, მ. ხურცილავასა და მ. მაჩაიძეს" — გვწერს გორელი **ზ. მაზმიაშვილი.**

თბილისელი **ვ. რაზმაძე** კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებს იშველიებს: „სხვის ფანდურზე ბუქნაობა გვიყვარს, ხალხიც აზნაურებს ბაძავდა, მშვენიერს „უცხოს" უწოდებდა, კარგ ქართულ თხილს „ბერძნულს", საუკეთესო ცერცვსაც „ბერძნულს".

არ ვიცი, რატომ უნდა ვამჯობინოთ უცხო სიტყვა ქართულს, რატომ არ უნდა ერქვას „დინამოს" „იბერია", „ივერია", ან ქუთაისის „ტორპედოს" „კოლხეთი", „აია", „ფაზისი" ანდა „ეგრისი"?

„ფეხბურთი, თბილისის „დინამო" ჩემთვის ისეთივე საყვარელი და ძვირფასია, ისევე ძლერს, როგორც საქართველო, დედა, შვილი. მეუღლე იმასაც კი მეუბნება, ცოლ-შვილზე მეტად გიყვარსო. გუნდს ეს სახელი 50 წელიწადია ჰქვია და რაღა თქმა უნდა, მისი გადარქმევის წინააღმდეგი ვარ" — გვწერს რუსთაველი მუშა **ჯ. რუხაძე.**

აბიტურიენტ **მ. ქავთარაძეს** (რუსთავი) უკვირს კიდეც, რომ „ასეთი ბუნებრივი საკითხი ამდენი ხანია კამათის საგანია და ჯერ ვერ გადაჭრილა: რაღა თქმა უნდა, რომ სახელწოდება „დინამო" შესაცვლელია".

„ისევე, როგორც ყველა ახალგაზრდას, ჩვენც გამორჩევით გვიყვარს ფეხბურთი. რასაკვირველია თბილისის „დინამოს" ქომაგნი ვართ და განვიცდით მის წარმატება-წარუმატებლობას. ალბათ მრავალი ქართველი გულშემატკივარის აზრს გამოვხატავთ, თუ ვიტყვით, რომ მხურვალედ ვუჭერთ მხარს გუნდის სახელწოდების შეცვლას. „იბერია" არა მარტო კეთილხმოვანი და ლამაზი სახელწოდებაა, არამედ გუნდის სადაურობაზეც მიუთითებს, ისევე, როგორც „ლივერპული", „ბარსელონა", „ბავარია", „არარატი", „კარპატი". (**მ. ვანიშვილი, ზ. ავალიანი**).

„მღვდელს ჰილოფში იცნობენო", — მოკლედ ჭრის **ვ. გოგინაშვილი,** — სახელის შეცვლას დიდება არ მოაქვს".

„უთუოდ აჯობებდა ამის თაობაზე აზრი გამოეთქვათ იმათ, ვინც პირველად გაუთქვეს სახელი „დინამოს", უთუოდ აჯობებდა მოწყობილიყო გამოკითხვა ცნობილი საზოგადო მოღვაწეებისა, სპორტსმენებისა, ჟურნალისტებისა, გულშემატკივრებისა". — შენიშნავს **ზ. ბრეგვაძე** (სოფელი ვაზისუბანი).

„ადვილია შეუცვალო სახელი კვლევით ინსტიტუტს, სკოლას, საავადმყოფოს, რაც პროფილის შეცვლით ან სხვა მიზეზითაა გამოწვეული, მაგრამ ჩამოყალიბებულ სპორტულ კოლექტივს, რომელსაც აქვს თავისი მდიდარი ისტორია და ტრადიცია (თბილისის „დინამო" სწორედ ასეთი კოლექტივია), სახელის შეცვლა არ სჭირდება" — **ვ. სანადაშვილი** (ექიმი).

„ახლა სახელწოდება „დინამოს" სასარგებლოდ მხოლოდ ის ლაპარაკობს, რომ ჩვენ მას შევეჩვიეთ. ისე კი არც დიდი აზრია ამ სიტყვაში, არც სილამაზე, — გვწერს **გ. მოსაშვილი** და გვირჩევს საქმეში გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის წერილების თაობაზე... — წერილების ამონაწერი **ი. გელოვანის** ვრცელი წერილიდანაა (სამტრედიის რაიონი, დაბა კულაში). შემდეგ ავტორი აღშფოთებას გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ თბილისელ რეგბისტთა ერთ-ერთ გუნდს სახელწოდება „ივერია" „ელვით" შეუცვალეს.

„ტრადიციისადმი შიში და მოკრძალება მეტისმეტია. წარმოუდგენელია, ქართველმა კაცმა ვერ დაივიწყოს „დინამო" და ვერ შეითვისოს „იბერია". რაც შეეხება არაქართველს, მისთვის კიდევ უფრო საინტერესო იქნება ახალი სამოსელი (მით უმეტეს ასე ორიგინალური და ყლერადი), მაგრამ ამავე დროს ჩვენ პროვინციული სოლიდურობა გვჭირს თვით ქართული სახელების შერჩევაშიც კი და გვავიწყდება, რომ ამპარტავან ინგლისელებსაც კი რამდენი ღიმილისმომგვრელი სახელი შეურქმევიათ თავიანთი გუნდებისთვის... („მგლები", „მამლები" და ა. შ.). ჩვენში არც ერთ ბავშვთა გუნდს არ ჰქვია, მაგალითად „ყვინჩილები". რით არის ურიგო? — **ლ. ხიხარულიძე** (კინორეჟისორი).

„ამ საკითხის წამომჭრელნი მართალნი არიან ქუთაისის „ტორპედოს" სახელწოდების შეცვლის თაობაზეც. სიტყვა „ტორპედოს" არც შინაარსით, არც გადატანითი მნიშვნელობით არავითარი კავშირი არა აქვს სპორტთან, კერძოდ ფეხბურთთან. თუ მას „კოლხეთს" არ დავარქმევთ და „ტორპედოს" დავტოვებთ, მაშინ მომავალში გუნდებს „ყუმბარა" ან „დამბაჩაც" შეგვიძლია ვუწოდოთ. და საერთოდ, საქართველოს ყველა სპორტკოლექტივსა და ყველა დიდ სპორტულ ნაკრებს უნდა ერქვას შესაფერისი ქართული სახელი, უნდა ჰქონდეს შესაფერისი შინაარსის ემბლემაც". — ეს ამონაწერი ...

„წენი ჩავრიოთ, — დარწმუნებული ვარ, ყველა ისინი გუნდის ახალ სახელწოდებას („იბერიას") დაუჭერენ მხარს".

ამ წერილების კითხვისას ერთი ნათელია — ეს საკითხი ყველას გულთან მიაქვს და ისიც, რომ არც თუ იოლად მოსაგვარებელი ჩანს. გულშემატკივართა ერთი ნაწილი ერთი აზრისაა, მეორე — მეორისა.

როგორც ჩანს „დინამოს" სახელის შეცვლა თუ არშეცვლა უფრო ფართო და სერიოზული მსჯელობის საგნად უნდა იქცეს. და თუნდაც იმიტომ, რომ დღეს სპორტი ბევრად გასცილდა თავის ადრინდელ საზღვრებს, ამ პრობლემის გადასაწყვეტად უთუოდ თავისი მოსაზრება უნდა გამოთქვას ყველამ — ენათმეცნიერმა, მწერალმა, მუშამ, სტუდენტმა, ხელოვნების მუშაკმა, ყველამ, ვისაც სპორტი ჩვენი მოღვაწეობის მნიშვნელოვან უბნად, მომავალი თაობის აღზრდის საქმეთა და ერის სახელად ესახება.



მოკავშირე რესპუბლიკების 300-მდე უძლიერესმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა მოტოკროსში, რომელიც გაიმართა ლატვიის ქალაქ ვალმიერში. შეჯიბრების მთავარი პრიზი მოიპოვა ლიეპაიის გუნდმა „ატლანტიკამ“.

სურათზე: მოტოკროსის მონაწილეთა სტარტი.

საკდესის ფოტო.

## ტურისტული მარშრუტები ბამზე

**შორეული** აღმოსავლეთის ტაიგაში ლაშქრობის ჩასატარებლად ქვეყნის 12 ოლქისა და მხარის ტურისტებმა მოიყარეს თავი ამურის კომსომოლსკში.

აი რა თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ტურისტული რაზმის ხელმძღვანელმა, სპორტის ოსტატმა ევგენი არატოვმა:

— ცენტრალურმა სამარშრუტო საკვალიფიკაციო კომისიამ დაგვავალა ბაჯალსკისა და ბურეინსკის ქედების რაიონში 5 ეტალონური მარშრუტების გაყვანა, რომელთაგან ერთი მეექვსე კატეგორიის სირთულისაა. ჩვენ მოგვიწევს 2500 მ. სიმაღლის ქედების დაძლევა, ათობით მთის მდინარეების გადალახვა.

ამურის კომსომოლსკი.



რიაზანის გარეუბანში ჩატარდა ტრადიციული საკავშირო ავტოკროსი. ამ ასპარეზობაში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების დოსააფელი სპორტსმენები. პირველობა რსფსრ-ის მრბოლელებმა მოიპოვეს.

სურათზე: ტრასაზეა ზილ-130.

საკდესის ფოტო.

## ჭადრაკი

### მოგერიებული იერიში

გასულ შაბათს ბაგიოში (ფილიპინები) ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩში მსოფლიო პირველობაზე IX პარტია შედგა.

მეტოქეებმა ლაზიერის გამბიტი გაითამაშეს. კარპოვმა, რომელიც შავებით თამაშობდა, კარგად განავითარა ფიგურები. იგი არ შეუშინდა ცენტრში გამხოლოებული პაიკის მიღებას და ამ პაიკის დაცვით პოზიცია უფრო განამტკიცა.

31-ე სვლაზე კორჩნოიმ წამოიწყო მსოფლიო ჩემპიონის მეფეზე იერიში, ლაზიერისა და ეტლის მანევრებით კონკრეტული მუქარა შექმნა. მაგრამ კარპოვმა კონტრთამაში გააჩაღა. მერე პაიკი დათმო, რომ აქტიური მოქმედების შესაძლებლობა ჰქონოდა.

თამაში ენდშპილში გადავიდა და 41-ე სვლაზე პარტია გადაიდო.

კვირას მეტოქენი დაზავდნენ თამაშის განუახლებლად, რადგან პოზიცია თანაბარი აღმოჩნდა.

ამრიგად, ლიდერობს ა. კარპოვი — 1:0.

X პარტია დღეს უნდა გაიმართოს.

გთავაზობთ IX პარტიას.

**კორჩნოი — კარპოვი**

ლაზიერის გამბიტი

1. c4 მf6 2. მc3 e6 3. მf3 d5 4. d4 კe7 5. კf4 0—0 6. e3 c5 7. dc კ:c5 8. ლc2 მc6 9. ეd1 ლa5 10. a3 კe7 11. მd2 e5 12. კg5 d4 13. მb3 ლd8 14. კe2 h6 15. კ:f6 კ:f6 16. 0—0 კe6 17. მc5 ლe7 18. მ:e6 ლ:e6 19. მd5 ეad8 20. კd3 მe7 21. მ:f6+ ლ:f6 22. ed ed 23. ეfe1 ეd7 24. ეe4 მc6 25. ლe2 g6 26. ეe1 მფg7 27. b4 b6 28. ლg4 ეfd8 29. h4 h5 30. ლg3 ლd6 31. f4 ეe7 32. ე:e7 მ:e7 33. ეe5 a5 34. ე:h5 ab 35. ab ლ:b4 36. ეb5 ლd2 37. მფh2 ლe3 38. ე:b6 ეa8 39. ლ:e3 de 40. ეb2 ეa3 41. კe4 ეc3. ყაიმი.

**საერთაშორისო** ორბიტაზე კუბის სპორტის ამობრწყინება დაიწყო ამ ქვეყანაში სახალხო რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, როცა ხალხი თვითონ გახდა საკუთარი თავის ბატონ-პატრონი, როცა მათ მიერ მრავალი წლის განმავლობაში მდიდრების საამებლად შექმნილი დოვლათი მისსავე შემქმნელს დაუბრუნდა.

თავისუფლების კუნძულზე იმთავითვე კარგად იცოდნენ, რომ რევოლუციის მონაპოვრის შენარჩუნებისა და განმტკიცებისთვის ფიზიკურად ძლიერი ადამიანები იყვნენ საჭირო, ამიტომაც დიდი ყურადღება დაეთმო ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას. საბჭოთა ქვეყანამ კუბელ ხალხს აქაც ძმური დახმარების ხელი გაუწოდა. ამ დარგის ათობით სპეციალისტი (მათ შორის საქართველოდანაც) გაემგზავრა იქ სამუშაოდ. კუბელი ათლეტების სასახელო წარმატებებში მათი დიდი დამსახურებაცაა და ამას მასპინძლებიც აღიარებენ.

კუბის სპორტის უკანასკნელი წლების წარმატებები ყველა მოყვარულისთვის კარგადაა ცნობილი, სპეციალისტებმა კი, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი იციან და შესანიშნავადაც ხედავენ, რომ თავისუფლების კუნძულის ათლეტები სულ მალე ბევრ სახეობაში მსოფლიოს უძლიერესი გუნდების რიგებს შეავსებენ.

მსოფლიოს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI ფესტივალის კუბაში გამართვა ამ ქვეყნის კიდევ ერთი აღიარება იყო, ცოტა ადრე კი კუბელებმა შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვეს კოლუმბიის ქალაქ მედელინში ჩატარებულ ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების XIII თამაშებში, რომელშიც 13 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

„ლელოს“ მკითხველებს უკვე მიაწოდა ცნობა მედელინში მედლების განაწილების შესახებ. ახლა დავუმატებთ, რომ ეს თამაშები ცენტრალური ამერიკის ქვეყნების სპორტსმენთა უბრალო დათვალიერება კი არ იყო, არამედ მას განიხილავენ როგორც XXII ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს, რომელიც კუბის, მექსიკის, პუერტო-რიკოს, კოლუმბიის გუნდების უპირატესობით აღინიშნა.

კუბელებმა ამ თამაშებში უფრო მეტი „ოქრო“ და „ვერცხლი“ მიიღეს (120 ოქროს, 44 ვერცხლისა და 18 ბრინჯაოს მედალი), ვიდრე მექსიკის (25; 48; 42), პუერტო-რიკოს (13; 15; 33) და კოლუმბიის (8; 24; 36) გუნდებმა ერთად. თავისუფლების კუნძულის წარმომადგენლები მეტოქეებს მთელი თავით სჯობდნენ მძლეოსნობაში, ძალოსნობაში, თავისუფალ ჭიდაობაში, ფარიკაობაში, ქალთა შორის წყალში ხტომაში... მაგრამ ცურვაში, ვერც ერთი ოქროს მედალი ვერ მოიპოვეს. აქ უპირატესობა აშკარად მექსიკელთა მხარეს იყო, რომლებმაც მარტო ქალთა შორის 11 პირველი ადგილი დაიკავეს.

ცნობილმა კუბელმა სპრინტერმა ს. ლეონარდმა პირველობისთვის ბრძოლაში 10 წამი აჩვენა და 0,01 წამით ჩამოიტოვა თანაგუნდელი ო. ლარა, 200 მეტრზე კი (20,49) 0,11 წამით აჯობა ა. ხასბანდს (ტრინიდადი).

ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ა. ხუანტორენამ მოიგო 400 (44,27) და 800 მეტრზე (1.47,23) ასპარეზობანი. კუბელებმა ორმაგი გამარჯვება იზეიმეს, აგრეთვე, სიგრძეზე ხტომაში, როცა დ. ხილარტი 782, ხოლო მ. მათოსი 777 სანტიმეტრზე გადახტა. პ. ველასკესი და ა. ერერა სამხტომში II და III ადგილებს დასჯერდნენ, რადგან მათ ს. ანნამ (ბაგამის კუნძულები) აჯობა — 16.60.

ქალთა შორის ხუანტორენას „დუბლი“ გაიმეორა ა. პენტონმა, რომელიც როგორც 400 (50,56), ისე 800 მეტრზე (2.01,38) რბენაში ფინიშთან პირველი მივიდა.

კუბელებმა იოლად მოიგეს ფრენბურთელ ვაჟთა და ქალთა ტურნირები, ფეხბურთელთა პირველობა. წყალში ხტომაში თავი ისახელეს მ. გონსალესმა (3-მეტრიან ტრამპლინზე) და რ. ლოური რეიესმა (10-მეტრიან კოშკზე), ფარიკაობის ყველა სახეობის პირად და გუნდურ შეჯიბრებებში, ძალოსნობაში 10 წონითი კატეგორიიდან ათივეში უმაღლეს ჯილდოს დაეუფლნენ: ა. კასამაიორი — 230 კგ; მ. ნუნესი — 252,5; ვ. პერესი — 267,5; ლ. ვილიალობოსი — 292,5; პ. ურუტია — 332,5; ხ. საიასი — 332,5; ლ. ისკეროდო — 320; ხ. ბლანკო — 355; დ. ჩავესი — 342,5 და ჰ. გონსალესი — 345.

კუბელთა უპირატესობა ასევე აშკარა იყო თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც პირველობა მხოლოდ ერთ, 48 კგ წონით კატეგორიაში დათმეს. აქ იმარჯვა მექსიკელმა ჰ. ფრანსმა. სხვა წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ კ. გონსალესი, ლ. ოკანია, ვ. ინფანტე, ხ. რამოსი, დ. პოსო, ხ. კარვახალი, რ. გომესი, ბ. მორგანი და ლ. დიასი.

დიახ, კუბის სპორტი საგრძნობლად დაწინაურდა, ამიტომაც, მომავალ, XXII ოლიმპიადაში თავისუფლების კუნძულის წარმომადგენელთა ახალ წარმატებებს ელიან.

## სპორტული კუბა: მთელი თავით მაღლა

## კრივი

**ლვოვში** დამთავრდა მეგობ... ულ არმიათა მოკრივეების მე-II ჩემპიონატი. იგი აღინიშნა საბ... ოთა სპორტსმენების დიდი გამა... რჯვებით: მათ 8 ოქროსა და 3 ვე... რცხლის მედალი მოიპოვეს. ჩემ... პიონატში ასპარეზობდნენ ბულგა... რეთის, გდრ-ის, კუბის, პოლონეთ... ის, რუმინეთის, უნგრეთის, ჩეხო... სლოვაკიის, კორეის სახალხო-დე... მოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის არმიელი მოკრივე... ები. წონითი კატეგორიების მი... ხედვით გაიმარჯვეს: ლი ბინგ ... მა (კორეის სახალხო-დემოკრატი... ული რესპუბლიკა), ა. დუგარო... (სსრ კავშირი), ღ. ჩაპმანმა (კუბ...) ც. ანდრეიკოვსკიმ (ბულგარეთ...) დ. გრუზოვმა, ა. გალუშკომ, ვ. ... მასოვმა, ს. აბრამიანმა, ვ. შინ... ა. კლიმანოვმა და პ. ზაევმა (ყვე... ლა — სსრ კავშირი).

## რეგბი

**ხარკოვში,** გაზეთ „სოციალ... ტიჩესკაია ინდუსტრიის“ პრიზ... გამართულ საერთაშორისო ტურ... რში წარმატებით გამოვიდნენ ... მინელი რეგბისტები. გადამწყვ... მატჩი მათ მოუგეს საბჭოთა ... შორის ნაკრებს — 16:4 და ... ველად დაეუფლნენ საპატიო ... დავლს.

რეგბის საერთაშორისო ფედ... ციის პრიზის სამჯზის მფლობ... რუმინეთის ნაკრები თავიდანვე ფ... ორიტად ითვლებოდა, გუნ... ერთი მეორის მიყოლებით ყვე... მეტოქე დაჯაბნა.

მეორე ადგილზე საბჭოთა ნ... რები გავიდა მესამე წილად ხვ... უკრაინელ რეგბისტებს, რომლ... მაც შეჯიბრების ბოლო დღეს ... ჩეხოსლოვაკიის ნაკრები დაამარ... — 10:4. ბოლო, მეხუთე ადგ... პოლონეთის გუნდი აღმოჩნდა.

## ცურვა

**ტეხასის** შტატის ქალაქ ვუდლენსში გრძელდება ამერიკელ მოცურავეთა ჩემპიონატი. 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ამერიკელმა დ. ვასალომ ჩემპიონობასთან ერთად მსოფლიო რეკორდსმენობაც მოიხვეჭა — 4.23,39. წინანდელი მიღწევა მის თანამემამულე რ. სტრეჩნს ეკუთვნოდა და უდრიდა 4.23,68. ამავე დისტანციაზე თავი ისახელა მოცურავე ქალმა ტ. კოლკინსმა, ოღონდ მისი შედეგი ეროვნული რეკორდია — 4.47,06. ეს მისი მესამე გამარჯვებაა ჩემპიონატში. როგორც ცნობილია, მან მოიგო 200 მეტრზე კომპლექსური და 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვა. მეორე ოქროს მედალი მოიპოვა ს. ვუდხედმაც, ამჯერად 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 56,73. ვაჟთა შორის ამ დისტანციაზე გაიმარჯვა დ. მაკეგმა — 50,79.

**კანადის** ქალაქ ედმონტონში მსოფლიო რეკორდი დაამყარა ავსტრალიელმა მოცურავე ქალმა ტ. უიკხემმა. მან 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში აჩვენა 8.24,62, რაც თითქმის 6 წამით სჯობს მისსავე წინანდელ რეკორდს.

## მძლეოსნობა

დასავლეთგერმანელმა სპორტსმენმა კარლ-ჰანს რიმმა ქალაქ ჰეილბრონში (გფრ) გამართულ ასპარეზობაზე ურო 80,32 მეტრზე ტყორცნა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ძველი რეკორდი (80 მ, 14 სმ) მოსკოველ ბორის ზაიჩუკს ეკუთვნოდა.

## გაიყიდა აუქციონით...

**ოტავა.** შეიძლება ითქვას, რომ აუქციონით გაიყიდა ჰოკეის ცნობილი გუნდი „მონრეალ კანადიენსი“, რომელიც ბოლო სამი წელიწადია ზედიზედ ეუფლება ჰოკეის ეროვნული ლიგის უმაღლეს ჯილდოს — სტენლის თასს. ვაჭრობაში ძირითადი მეტოქეები იყვნენ ლუდის სახარშავი ორი ფირმა — „ლაბატი“ და „მოლსონი“. ეს ფირმები უდიდესია კანადაში, რომლებიც გასაღების ბაზრისთვის მძაფრ კონკურენციაში ძალიან საჭიროებენ რეკლამას. სპორტი კი ამ ლუდის გიგანტებს თავიანთი საქონლის რეკლამის საუკეთესო საშუალებას აძლევს. „ლაბატი“ ტორონტოს ბეისბოლის გუნდის აქციების 45 პროცენტს ფლობს. იგი ავტოსპორტშიც აბანდებს ფულს, აფინანსებს სათხილამურო შეჯიბრებებს, ფეხბურთს.

„მოლსონი“ უმთავრესად ჰოკეიში დასპეციალდა იმ ვარაუდით, რომ ეს სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობაა კანადაში.

ახლა კანადის ჰოკეისტთა უძლიერესი გუნდისთვის ვაჭრობაში „მოლსონის“ ფირმამ გაიმარჯვა. მონრეალის „გაზეტმა“ სასწრაფოდ გამოაქვეყნა, რომ „მონრეალ კანადიენსის“ მრავალრიცხოვანმა გულშემატკივრებმა თუნდაც პატრიოტული მოსაზრებებით მხოლოდ ამ ფირმის ლუდი უნდა დალიონ.

(საკდესი).

## თანამედროვე ხუთჭიდი

**მოსკოვში** დამთავრდა თან... დროვე ხუთჭიდელთა ტრადიცი... ლი საერთაშორისო შეჯიბრებ... რად ჩათვლაში უძლიერესი ... ბ. მოსოლოვი (მოსკოვი) — ... ქულა. მეორე ადგილზეა უნგ... ლ. ხორვატი (5181 ქ), ხოლ... სამეზე — მოსკოველი ვ. შპე... (5138).

გუნდურ შეჯიბრებაში უნგ... ებმა იმარჯვეს — 15160 ქულ... მდეგ მოდიან რსფსრ-სა (1... და მოსკოვის (14710) გუნდე...

რედაქტორი ა. ბასილ...

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკვისა რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“ ტელეფონები: რედაქტორი — 99-58-14, 93-97-60; რედაქტორის მოადგილე — 99-58-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-62; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-... მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26, სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-84; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 07...